



სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამა
დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“
დირექტორის # 15 12.03.2021 ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„სატყეო საქმე“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- (365) 2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: ამირან ნოზაძე

2021 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: სატყეო საქმე / Forestry
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 0821
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში /Secondary Vocational Qualification in Forestry

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მეტყევეობა, კოდი - 0821; აღმწერი - „შესწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას. ის ასევე მოიცავს ნადირობასა და ხაფანგით დაჭერას“.

4. მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს პროფესიულ განათლებაში პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური სატყეო საქმის სპეციალისტს, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა). განახორციელებს ხე-ტყის დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსა და სხვა საფრთხეების წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

5. დაშვების წინაპირობები

პროგრამის დანართი # 1- სასწავლო გეგმით სწავლებაზე გათვალისწინებით დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის დანართი # 2- სასწავლო გეგმით სწავლებაზე, გათვალისწინებით რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება.

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

„სატყეო საქმეში“ საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ტყის მჭრელად, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურაში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციაში (ლიცენზიის მფლობელები).

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 02.1; 02.10; 02.10.0; 02.2; 02.20; 02.20.0;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 9215

7. სტრუქტურა და მოდულები

„სატყეო საქმის“ პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის რაოდენობით , 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 33 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 41 კრედიტი, ხოლო ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - 71 კრედიტი.

„სატყეო საქმის“ პროგრამაში: „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

- მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 48 კრედიტი

- სავარაუდო ხანგრძლივობა: 9 სასწავლო თვე
 - მოცულობა: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 78 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა: 14 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია *	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება *	2
4	მენარმეობა 2 *	2
5	უცხოური ენა	5
სულ		15

პროფესიული მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა -სატყეო საქმე	1
2	ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	3
3	პირველადი გადაუღებელი დახმარება - სატყეო საქმე	2
4	ხე-ტყისდამზადება	6
5	ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	5
6	ტყის აღდგენა-გაშენება	7
7	ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან	2
8	ტყისარამერქნულირესურსითსარგებლობა	2
9	საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე	5

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის

სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში:

- მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 101 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე
- მოცულობა: არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 131 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: სასწავლო 23 თვე

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	უცხოური ენა	5
სულ		8

ზოგადი მოდულები- ინტეგრირებული

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მათემატიკური წიგნიერება	14
2	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14

3	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4	მოქალაქეობა	10
5	მენარმეობა	4
სულ		60
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა -სატყეო საქმე	1
2	ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	3
3	პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე	2
4	ხე-ტყისდამზადება	6
5	ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	5
6	ტყის აღდგენა-გაშენება	7
7	ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან	2
8	ტყისარამერქნულირესურსითსარგებლობა	2
9	საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე	5
სულ		33

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაციის მომზადება;
2. მერქნული რესურსით სარგებლობა;
3. ხე-ტყის დამზადება და დახარისხება;
4. დამზადებულხე-ტყისტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
5. ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება;
6. ტყის აღდგენის ღონისძიებების გატარება;

7. ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
8. ტყის არამერქნული რესურსის დამზადება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ ჩარჩო დოკუმენტის „სატყეო საქმე“ საფუძველზე, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., უესტიკულაცია, ინტერვალის საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მენარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "სატყეო საქმე" განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

დანართი №2 -სასწავლო გეგმა

დანართი №3 – მოდულები:

- დანართი 3.1 ინფორმაციული წიგნიერება 1
- დანართი 3.2 უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- დანართი 3.3 გაცნობითი პრაქტიკა -სატყეო საქმე
- დანართი 3.4 ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები
- დანართი 3.5 პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე
- დანართი 3.6 ხე-ტყის დამზადება
- დანართი 3.7 ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება
- დანართი 3.8 ტყის აღდგენა-გაშენება
- დანართი 3.9 ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან
- დანართი 3.10 ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა

- დანართი 3.11 სანარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე
- დანართი 3.12 კომუნიკაცია ქართულ ენაზე
- დანართი 3.13 მათემატიკური წიგნიერება
- დანართი 3.14 მეცნიერება და ტექნოლოგიები
- დანართი 3.15 მოქალაქეობა
- დანართი 3.16 მენარმეობა
- დანართი 3.17 ქართული ენა A2
- დანართი 3.18 ქართული ენა B1

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები:

ხელშეკრულება # 1 10.03.2021წ. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური ქ.ახალციხე ასპინძის ქუჩა #32